# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 18 — 1915. მიიღება ხელმოწერა 1915 „თეატრი და ცხოვრება“ზ-ე 3 მაისი



**ჰაზირას აშუღების დასტა**

დღეს კონცერტსა ჰმართავს „არტ. საზ. თეატრის“ დარბაზში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო სახლი

**სამშაბათს, 5 მაისს,** თბილისის ქართ. დრ. დასის მსახ. ამხ-ბის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ცნობილი პიესა შექსპირისა

# ჰამლეტი

ტრაღედია 5 მოქ. და 9 სურ. თარგ. ივ. მაჩაბლისა

**მონაწილეობენ**: ტ. აბაშიძე, ეფ. მესხი, ა. შოთაძე, ბ.ბ. ვ. აბაშიძე, ზ. გომელაური, გ. გედევანოვი, ი. ზარდალიშვილი, ალ. იმედაშვილი, პ. კორიშელი. მ. სარაული, ა. შანშიაშვილი, მ. ჭიაურელი, ე. თარხნიშვილი, გ. სვანიძე და სხვ.

ადგ. ფასი 1 მ. 50 კ-დან 10 კ-დე

დასაწყისი საღ. 7½ საათზე.

რეჟ. **მ. ქორელი**

შემდეგი წარმოდგენა: „**ოტელო**“

---

ახლახან გაიხსნა

# აფთიაქი

პროვიზორის **ა. ს. ახვლედიანისა**

(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე), (5—5)

---

სახალხო სახლი

**კვირას, 6 მაისს,**

გაიმართება

# სალიტერატურო დილა

**ლექცია. ცოცხალი სურათები. დეკლამაცია. მუსიკა.**

დასაწყისი 12 ს.

---

## ახალი გამოცემა

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

**შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ**

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ქურ. „**თეატრი და ცხოვრების**“ რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цхавреба“ Іос. Имедашвили.**

# თეატრი და ცხოვრება

№ 18

წელიწადი მეხამე

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 18 კვირა 3 მაისი 1915 წ.


439

## 3 მაისი

**როდის და შევალთ საკუთარ ტაძარსა შინა?** შეიარაღებულ ომს ბოლო აღარ უჩანს, მაგრამ წოდება-ერთა შორისაც რომ მუდმივი ბრძოლაა,—ამას ბრმა-ყრუ თუ ვერ შეამჩნევს...

ცხოვრება მუდმივი ბრძოლააო. . არა თუ კერძო ადამიანი, არამედ ყოველი ერი შეუჩერებლივ მუშაობს და იბრძვის თავის ნივთიერ-სულიერ საგანძურთა გასაფართოებლად. .

დღეს მოწინავე ხალხთა აღტყინებას საზღვარი აღარ უჩანს, თითოეული მათგანი ცდილობს დღე უქმად არ გამოიღამოს, დღევანდელი არსებობა სახვალიოდ სანანურად არ გაიხადოს თავისი უქნარობით, ხოლო ჩვენ?

თითქმის მთელი წელიწადია თეატრი დაგვეწვა, ეროვნული ხელოვნება საფრთხეშია, თეატრის ამგები კომიტეტი-კი მხართეძოზე წამოწოლილა...

დაბა-სოფელი სასოებით შემოჰყურებს სამშობლოს გულს, დედა ქალაქს თბილისს—საზოგადოებას, ინტელიგენციას—აბა, ქალაქში რას ფიქრობენ, რა გზაზე დაგვაყენებენ, რომ ჩვენც ავედევნოთო და აქ კი?

ჩვენი ინტელიგენტი ოღონდ რამდენსამე საზოგადო საქმეში ჩაება, მიაკარ საზოგადო მოღვაწის ნიშანი და .. მორჩა! ნაკისრ საქმეს გაკეთება უნდა თუ არა ·აღარ დაგიდევს.. დაჰქრის, დაფარფატებს, ყველგან არის და ვერსად-კი ვერასფერსა ჰქმნის: ხშირად ერთ დანიშნულ დროს სხეულით რომ ერთ კრებაზეა, ფიქრით—მეორეზე, და ყოველ წუთს მესამისკენ გასაქცევად ემზადება—კრებაზე არ დამიგვიანდესო...

ამ ტომაც არის, რომ არც ერთს ჩვენს საქმიანობას ხვავი არ უჩანს... ასევე ემართება თეატრის საქმესაც: მოუცლელ ხალხის ანაბარა მიტოვებით, ლამის სალათას ძილს მიეცეს...

ამ რამდენისამე დღის წინად პროვინციაში ერთი ცნობილი მოღვაწე-მწერალი მეუბნებოდა:

— „დამარწმუნეთ, დამაჯერეთ, რომ განსაზღვრულ დროში თეატრი უეჭველად აშენდება და თავს მოვალედ გავიხდი, თეატრის აშენებამდე ჩემის ჯამაგირის ნაათალი გადვიხადო ერთად თუ არა, ნაწილობრივ მაინცო... ღრმად დარწმუნებული ვარ, ასევე მოიქცევა ყოველი ქართველი, ვისაც ეროვნული თავმოყვარეობა აქვს და სამშობლო ხელოვნება რადმე უღირსო... თორემ ისე, ერთ-ორ ან ხუთიოდე მანათს გამოვიღებ—ჯანდაბას, თუ დაიკარგება—დამეკარგოსო...

დიაღ, **დამარწმუნეთო**... დიდი რამ არის ეს **რწმენა**! .

ხოლო ამ რწმენას ვინ შეჰქმნის, როდესაც თვით კომიტეტის წევრთაც, როგორც სჩანს, ეს რწმენა არა აქვთ...

არა თუ რწმენა, კავშირებიც ვერ შეუქმნიათ, ისიც კი ვერ მოუხერხებიათ—ყველა ქართული წარმოდგენა დაჰბეგრონ: უწყებული გადასახადი გადაუწყვიტონ.. შეწირულიც კი ვერ მოუკრებიათ: ამას წინად დრამატურგმა ნ. შიუკაშვილმა, [illegible] მესხმა, ნ. ავალიშვილმა და სხ. თავის [illegible] მოებთა ჰონორარი სათეატრო ფონდს შე-

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

წირეს, მათი პიესები რამდენჯერმე წარმოადგინეს და ახლაც სდგამენ,—აიღეს რამე?—

ბატონებო, ნუ გძინავთ!.. იმუშავეთ და დროით შეგვიყვანეთ სამშობლო ხელოვნების ტაძარსა შინა, თორემ კერა მისი გაცივდება, თქვენ კი საყვედური მოგეძღვნებათ...

—

**საძირკველი**
**ნუ გავიწყდებათ**
(ისევ აჭარელთა შესახებ)

აჭარელთა მდგომარეობამ ძლივს საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, თუმცა ეს ყურადღება ჯერ კიდევ უმეტესად ნელ-თბილ სიტყვებსა და წერილებში გამოიხატება...

დადგა დრო, როდესაც ძმამ ძმას ხელი უნდა გაუწოდოს, გული გადუხსნას და ჩაიკრას...

შავთა დროთა თუ ურთიერთს განგვაშორეს, იმავე დროს ჩარხის ტრიალი გულისხმაში გვაგდებს, ახლა ერთმანეთი ვიპოვოთ და შევიტკბოთ...

უკეთეს დროს იშვიათად ვნახავთ ..

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც ლამის მათი შესწავლა-გაცნობის საქმე ბოლოდან დავიწყოთ, ზერელედ...

ვადგენთ სხვა და სხვა გეგმებს მასალის შესაკრებად და იმას კი არავინ ვფიქრობთ, უკვე მოგროვილ ძვირფას მასალით ვისარგებლოთ...

თუ დღევანდელ ომიანობის გამო გაძნელებულია დარბეულ აჭარელთა ახლო გაცნობა-შესწავლა, არც თუ ძველად იყო ეს ადვილი ..

მიუხედავად ამისა, ჩვენის მწიგნობრობის დაუღალავ მუშაკს ზ. ჭიჭინაძეს ოცდაათის წლის განმავლობაში დიდძალი მასალა მოუგროვებია, თვალით ნანახი და ყურით ნასმენი აუწერია, რომელიც ოცამდე დიდს წიგნს შეიცავს.

ამ ნაშრომის რამოდენიმე წიგნი გამოვიდა, ხოლო დიდი ნაწილი მისი გამოუცემელია უსახსრობის გამო...

თუ ვისმეს გულწრფელად ჰსურს აჭარელთა წარსულისა და აწმყო ყოფა-მდგომარეობის შესწავლა, ზ. ჭიჭინაძის ნაშრომებს გვერდს ვერ აუქცევს...

მაშ ნუ ვაყოვნებთ: სახსარი აღმოუჩინოთ, რომ ეს ნაშრომი ჩქარა გამოსცეს, რათა მეცნიერმა მკვლევარმა ამ ნედლი მასალით შემდეგ საუცხოვო შრომანი შემოგვძღვნას...

# მომაკვდავ გმირს

ჟამს სიკვდილისა რა აღმოხდა შენს ობოლ სულსა?
უკანასკნელად ვის უხმობდი, ვის ავედრებდი,
ტანჯულ სამშობლოს, მგლოვიარე მოძმეთა სულსა,
დედას უბედურს, შორს მყოფ სატრფოს რას უბარებდი?
ძმავ უბედურო! ეჰ, ვინ უწყის იმ შენ სურვილებს,
მხოლოდღა ირგვლივ უტყვი არე ყურს მიუგდებდა,
ამხანაგთაგან მიტოვებულს და განაწბილებს
ყვავი-ყორანი დაგჩხაოდა, დაგნავარდებდა.
მოძმისა ნაცვლად გდარაჯობდა სიკვდილი ავი,
კბილ-დაღრეჯილი შეგცქეროდა ყრუ ველად გდებულს,
მალამოს ნაცვლად მოაყრიდა ქარი-ნიავი
მტვერსა და სილას შენს უმწეო დაფლეთილ სხეულს.
ოჰ, რად არ გავჩნდი იმავ წუთში შენდა მაშველად,
რომ სისხლის ჩქერი თვალთ ნაკადით ჩამომებანა,
თუნდ მტრის მახვილსა გავეგმირე იქ ტიალ-ველად,
ოჰ, რა სიამით სულს დავლევდი, ძმაო, შენთანა!..

**დარია ახვლედიანისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა




† პავლე ალექსის ძე კალანდაძე —
პ. ხიდისთაველი (1880—1915)

ახალგაზდა საქართველოს ერთი მხნე მუშაკთაგანი. მოძრაობის დროს გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე. მუშათა რაზმში და სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში მუშაობდა, 1908 წ. ახალი მიმართულების კვირეული ჟურ. „ახალი კვალი“ გამოსცა, რომელმაც ქართველ დემოკრატიაში ახალი სხივი შეამუქა. სწერდა მოთხრობებს, ერთი მისი მოთხრობა „წითელი საღამო“ გადითარგმნა ფრანგულად. რამდენჯერმე ციხეში იჯდა, უკანასკნელ 3-4 წ. საზღვარგარეთ იყო. ომიანობის გამოცხადებისას დაბრუნდა და დიდის გატაცებით მოელოდა სამშობლოს ბედის ცვალებადობას. გარდ. 24 აპრ. დაკრძ ლეს 26 აპრ. წმ. ნინოს სასაფლაოზე.

---

# აგურის მზიდველი

— აგური!—რიხიანად დასძახოდა შენობის მეოთხე სართულიდან ფეშტამალ შემოკრული კალატოზი აგურის ამზიდველ მუშებს.

— ცოტა ხანს მოიცა, ოსტატო. წვიმისაგან ისე დასველდა ე ფიცრის კიბეები, რომ გამბალ ჩუსტებით ფეხსაც ველარ ვიკიდებთ.

— ბევრს ნუ ლაპარაკობთ, მიაწოდეთ ეხლავე აგური!—მოულოდნელად დასჭყივლა საიდანღაც გამოტყვრენილმა სახლის პატრონმა და არხეინად დოინჯი შემოიყარა.

— წვიმს, ხაზეინ, როგორა ვზიდოთ ერთი ფეხი რომ დაგვიცდეს, დავიღუპებით.

— თუ დაიღუპე, შენმა მზემ, ქვეყანა დაიქცევა აი!

— ბევრს ნუ ყბედობთ, იმუშავეთ მეთქი!

— ვიმუშაოთ, ძმაო, ვიმუშაოთ, თორემ ე რჯულზე ხელ-აღებული ხელად გაგვრეკავს და სხვებს მოიყვანს. უთხრა ჩუმად, ხაზეინის მუქარით დაშინებულმა მეორე მუშამ და აგურებით სავსე ფიცრის დიდი კურტანი ზურგზე მოიკიდა.

— მოიცა, მოიცა, ჯერ მე ვცდი.

— აბა, ჰა!

— აგური!—ერთხელ კიდევ გადმოსძახათ კალატოზმა და სამუშაო ქაფჩა ხელმარჯვეთ შეათამაშა.

— ოოო, ფეხი მისხლტება, ძმაო; ვერ ავაღწევთ ი ვერანა სიმაღლემდე,—უთხრა ზნექით წინ მიმავალმა მუშამ თავის ამხანაგს და შუა სართულთან ძლივს შეჩერდა.

— რა ვქნათ, ძმაო, უკან ხომ ველარ გავბრუნდებით და...

— ვაი!—განწირულად იკივლა საცოდავმა მუშამ და აგურებიანად თავქვე წამოსული საზარელი ზღართანით დაეცა ძირს.

— მიშველეთ!—იყვირა შიშისაგან თავზარ დაკრულმა მეორე მუშამ და, დროზე რომ კალატოზი არ ჩამოშველებოდა, ისიც ყირამალა გადმოვარდებოდა.

...შენობა აშენდა. რამდენიმე მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევის შემდეგ დიდებული ლხინი გაიმართა.



# პეპელა

ინათა სანთელმა და გაჩნდა პეპელაც...

გაექანა და შიგ შუაგულ ალში შევარდა... გადარჩა... კიდევ გაექანა — ფრთები აელანძა მხოლოდ... კიდევ და კიდევ.. და პეპელას ფრთები შემოეწვა... პეპელა ძირს დავარდა...

მოკვდა პეპელა... დაიწვა პეპელა...

რისთვის მოკვდა ნაზი პეპელა? რათა?

რისთვის მიფრინავს პეპელა ცეცხლისაკენ, — განა არ იცის, რომ ფრთები შემოეწვება და ძირს დაეცემა?

— იცის, იცის, რომ ის ცეცხლში დაიწვება. იცის, რომ მისი ნაზი ფრთები ალზე დაიფერფლება... იცის რომ თვითონაც ამ ცეცხლის მსხვერპლი შეიქნება. . მაგრამ ...მაგრამ ის ვერ ჩერდება...

ცეცხლი იზიდავს მას თავისაკენ, თუ მასში რაღაც გაუგებარი დაფარული ძალა მიაქანებს ცეცხლისაკენ, — რა ვიცი. მხოლოდ ის ცეცხლისაკენ მიჰფრენს, იწვის ამ ცეცხლში და მაზე იფერფლება...

ხომ კარგია სიცოცხლე, ხომ საყვარელია იგი და რათ აქრობს მას პეპელა ცეცხლზე?

რათა? რისთვის?..

და, განა, ადამიანო, შენც პეპელას არა გევხარ? განა თვით შენც პეპელა არა ხარ?...

დიაღ, შენც პეპელა ხარ. . მოფარფატე პეპელა!.. შენც ცეცხლისაკენ მიისწრაფვი... შენ კიდეც გძულს და კიდეც გიყვარს სიკვდილი .. შენ ათასნაირ კაცის მკვლელ იარაღს იგონებ და წინ უდგები მას .. ხომ იცი, მისი მსხვერპლი შეიქნები? .. რათ უდგები წინ ამ სიცოცხლის მომსპობ იარაღს, რათა?

შენ დიდს ცეცხლს ანთებ, ალი მისი ზეცასა სწვდება და... შენ ამ ალში ვარდები... ეხვევი ამ მწვავ ალში. . განა არ იცი, რომ დაიწვები შიგ, განა არ იცი?!.

იცი, იცი, მაგრამ შენ მაინც ცეცხლისაკენ მირბიხარ, თითქოს მასში იყვეს ხსნა შენი — შენ კი ნამდვილი სიკვდილისაკენ მიისწრაფვი...

რათა? რისთვის?..

— არც შენ იცი, რათა? არ იცი?... ხა, ხა, ხა, ხა!.. პეპელა ხარ.. მოუსვენარი პეპელა, თავის ფრთებს რომ ცეცხლის ალზე იწვავს ..

და ვინ გასაჯოს, — რისთვის ეთამაშები შენ სიკვდილს?.. ნამდვილად სიკვდილი გწყურია, თუ სიტკბოებასა და სიამოვნებას პოულობ სიკვდილთან თამაშში!..

ეჰ, ვინ ახსნას, რათ დაფარფატებს პეპელა სანთლის ალთან, რათ ეხვევა ამ ალში...

რათა? რისთვის?!.



# ნიკო ლომოურის სამარესთან

(სიტყვა დრამ. ნ. შიუკაშვილის მიერ თქმული გორში)

საზოგადო ბედნიერების ან უბედურების დროს ყოველი წევრი ერთი და იგივე აზრით, ერთი და იგივე გრძნობით არის გამსჭვალული; ამ საზოგადო გრძნობაში იჩრდილება ჩვენი პიროვნება და მხოლოდ გადაბმულ ძარღვთა ცემა ისმის. ასეთ დროს ჩვენ ვიცით, რომ გვერდში მდგომი იმასვე ჰგრძნობს, რასაც ჩვენ, მაგრამ ამითაც ვერ ვკმაყოფილდებით: გვსურს, ვინმე გახდეს ჩვენს მესაიდუმლედ და ხმამაღლა გამოსთქვას, თვალით დაგვანახვოს ეს ჩვენი საზოგადო გრძნობა.

ვინ იყო ჩვენი მესაიდუმლე? ვინ იყო ჩვენი გრძნობის ენა?

— შენ, ჩემო ძვირფასო ნიკო!

ვინ იყო ჩვენი თამადა ლხინში და ჩვენი მტირალი ჭირში?

— შენ, შენ, ძვირფასო მეგობარო!

ჩვენ ვგრძნობდით და შენ-კი ენა იყავ ჩვენი გრძნობისა. და, აი, დღეს ჩვენ ისევე ვგრძნობთ, ისევ გვესაჭიროება შენი ენა, მაგრამ შენ სდუმხარ!..

ეს პირველი შემთხვევაა, რომ საზოგადო ჭირში ჩვენ ვლაპარაკობთ და შენ კი გაჩუმებული ხარ!.. გაჩუმებული ხარ იმისთვის, რომ



ნიკო ლომოური ოჯახობით ს. არბოში

ვეღარ ჰკრძნობ ჩვენს ჭირს და ჩვენ კი ვართ ჭირში იმისთვის, რომ შენ გაჩუმებული ხარ!

მერე რა დროს გასჩუმდი?!,

ასე მძლავრად არა დროს არ შერყეულა დედამიწა; ხალხთა ასეთი ბრძოლა არ ახ ოვს სტორიას,—ამ ბრძოლაში ქოჩრამდის ჩათრეულია შენი პატარა საქართველოც და შენ-კი ამ დროს გასჩუმდი!

ამ მსოფლიო ბრძოლაში ირთიან და ირყევიან მძლავრ სახელმწიფოთა გვირგვინები, შუა ცეცხლში მომწყვდეულ საქართველოს კვამლის სუნი ასდის და შენ-კი ამ დროს გასჩუმდი!.

ეროვნული საკითხი ასე მკაფიოდ და გულ-ახდით არის შეტანილი ბრძოლის გეგმაში და ამ იმედით ასი ათასობით ჩვენი მებრძოლნი პირზე ღიმილით იხოცებიან,—შენ-კი ამ დროს გასჩუმდი!

რა დღე გაგვითენდება ხვალ—ვინ იცის?!. აგერ ერთი ჩვენი მხარე თითქმის მთლად გაისრისა; ლეშის სუნით გამსუნაგებული ტურა-მელა ნახრალს დასტრიალებენ; შინაურებშიაც ისევე ბრმად ვქიშპობთ ერთმანეთს და შენ ამ დროს პირზე ხელი მიგიფარებია!

იქნება ჩუმად მიპასუხო, რომ მთქმელი სხვაც ბევრი დაგვრჩა?

მართალია,—მთქმელი ბევრი გვყავს, ჭკვიანი მთქმელიც, მაგრამ მათი თქმა ჭკვაში იბადება და ტუჩებში თავდება! შენი სიტყვა-კი ჭკვაში იბადებოდა, გულში ნათელს იღებდა და ტუჩებს მხოლოდ მაშინ აღგებოდ!.. ასეთი მთქმელი ცოტა, ძალიან ცოტა გვყავს!..

ბევრი რამ თქმულა ლევ ტოლსტოიზე: ზოგი ადიდებს მას, როგორც გენიოს მხატვრულ მწერალს, ზოგი როგორც ღრმა ფილოსოფოსს და სხვა და სხვა... მაგრამ, ჩემის აზრით, მისი საუკეთესო დახასიათება ეკუთვნის იმ პირს, რომელმაც სთქვა: „ლევ ტოლსტოი არის რუსეთის სინიდისი!“ ამ სიტყვებში საოცარი შეგნებით არის გამოხატული ნამდვილი ბუმბერაზობა ხსენებული პიროვნებისა—„რუსეთის სინიდისი“!

შენზედაც ბევრი რამ თქმულა, ძვირფასო ნიკო: თვალსაჩინო მწერალი, დარბაისული ქართული ენის ოქრომპირი, საზოგადო მოღვაწე და ჩინებული აღმზრდელი...

მხოლოდ მე შენ უმეტესად გადიდებ, როგორც ქართველი ადამიანის სინიდისს!..

საუბედუროდ ჩვენ ჯერ ის დრო არ გვიდგა, რომ ვიკმაროთ მხოლოდ ადამიანის სინიდისი და შენ, როგორც განხორციელებული ქართველის სინიდისი, მეტად ძვირფასი იყავ ჩვენთვის!..

აღვილი სათქმელია—„ქართველის სინიდისი!“

მთელი ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება ამ სინიდისის შერჩენა და, თუ შენ ამ პირობებშიაც უმწიკვლოდ შეინარჩუნე ეგ სინიდისი, მაშ შესაძლებელი ყოფილა სინიდისის გენიოსობაც!

სწორედ რომ გენიოსი იყავ ქართველი ადამიანის სინიდისისა და შენს სიახლოვეს ყველა ქართველი ისევე იკრძალებოდა, როგორც გარყვნილი ბრბო უბიწო მშვენიერების წინაშე!..

ყველაფერს შეიფერებდი, ყველა ცუდლუტ სიტყვას აიტანდი, მხოლოდ თუ ვისმეს წამოსცდებოდა ეროვნული უსინდისობა,—თხელი ტუჩები ცივად გაგეკვროდა და მთელი სხეული აგიცახცახდებოდა!

და, აი, დღეს, როდესაც მთელი ქვეყანა ეროვნულ ბატონყმობის საწინააღმდეგო ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაში აიზიდა, რომელსაც ეროვნული სინიდისის გაქელვა უსინდისობად გამოცხადდა, — შენ ეგ ქართველის უმწიკვლო სინიდისი კუბოს ამოაფარე!..

გაჩუმდა შენი ენა - ენა ჩვენი გრძნობისა, გაჩუმდა შენი სინიდისი — სინიდისი ქართველი ადამიანისა, — და აი, შენს მაგივრად სხვებს გვიხდება ამ ენის და სინიდისის ამოძრავება!

შევძლებთ?!.

ნ. შიუკაშვილი

# შავი წიგნი

## (შ. არაგვისპირელის შემოქმედება)

(დასასრული. — იხ. „თ. და ც." № 13—17)

შ არაგვისპირელის შემოქმედება, ეს ერთგვარი ფოკუსია, სადაც იკრიბება ყოველივე ის, რაც პიროვნების დაბეჩავება-დაჩაგვრაზე იმეტყველებს. იგი ხომ „შავი წიგნის" მწერალია, და ამ „შავ წიგნს" კიდევ აქვს ფურცელი, რომელზედაც სოციალური მხარე არის ამოწერილი. მსოფლიო მოქმედებაში რომ პიროვნების დევნა-ჩაგვრა გამეფებულა, ამას ხელს უწყობს, სხვათა შორის, სოციალური მექანიზმიც, რომელიც სწურავს პიროვნებას, უშრობს სისხლს და მსხვერპლად იწირავს. სათავეში მდგართ შეღახეს ადამიანის უფლებანი და უბრალო ჩვრად აქციეს. სათავეში მდგარნი ნებივრად ჭყუმპალაობენ ცხოვრების მდინარის სათავეში, და რა ენაღვლებათ, თუ იქ, ქვევით შეუძლებელი გახდება მღვრიე წყლით არსებობა. იგინი ხომ ლაღად დანავარდობენ ცხოვრების ტალღებზე, რომელსაც მრავალთა შეხუთული სუნთქვა ათრთოლებს და აღელვებს. და ეს საკმარისია.

ჩვენი მწერალი ამ სურათმაც მიახედა თავის მხარეს, და იხილა შეუთანხმებლობა არსებულ ცხოვრების, უკუღმართობა დღევანდელ წყობილების. შემოუტრიალდა ამ სურათს, აჭკრიფა ფერები და მიუმატა იმ სურათს, რომელზედაც სისხლით ხატავს პიროვნების შავ „ბედის-წერას". შ. არაგვისპირელმა სწრაფი ეალმის მოსმით მოგვცა სურათები, დაგვატარა ცხოვრების ყოველ ოთახში, და სევდით სავსემ გვითხრა: ესაა ჩვენი ცხოვრება, სადაც ყოველივე ადამიანის წინააღმდეგ არის მიმართული, რომ მოსტეხოს იგი, ჩვრად აქციოს და როგორც მასალა, როგორც იარაღი მიაწოდოს წართმევის სურვილით შეპყრობილთა მცირე რიცხვს. ასეთია მართალი სახე ჩვენი უკუღმართი არსებობისა. „თურმე ნუ იტყვი, ყოველივე შიამი ყოფილა და მათი მიკარება ადამიანს უწყალოდ სწამლავსო," ასეთია დასკვნა მწერლისა, რომელიც ცას და შესცქერის და რისხვით აღსავსე სასტიკად შესძახის: „ცავ, შენზედ ადამიანის მწუხარება არ მოქმედობსო"?! და ცისადმი მიმართვა, ეს ხომ უკიდურესი სევდიანობის მაჩვენებელია.

დიაღ, სევდიანი მწერალია შ. არაგვისპირელი. იგი ეულად დადის ცხოვრების შავ ხნულზე, და რწმენა დაკარგულს გამუდმებით გაბმული კვნესა-კისკისი და მოესმის, რომელშორისაც მკაფიოდ მხოლოდ ეს-და ესმის: „ადამიანი... სისულელე. ხა! ხა! ხა! სისულელეო". ბევრჯელ მიმართავს იგი ადამიანს, ბუნებას, რომ ეგებ აღმოაჩინო რამ, რომელიც მიამცემს ძალას, დამიბრუნებს ხალისს, აღმიდგენს რწმენასო, მაგრამ ამაოდ. რამდენიც ღრმად უკვირდება ადამიანს და მოვლენათა სიღრმეს, იმდენი უფრო მეტად იპყრობს მელანქოლიის ბურუსი, და აქ იგი გესლით ივსება. სწყევლის ყოველივეს, რაც კი ადამიანს უკავშირდება, და ასე წყ ვლითვე სპობს ყოველივე მომავალს იმედს. მას მომავლისა არა სწამს რა. მისთვის ხვალინდელი დღე ისევე შავად არის შეღებილი, როგორც დღეს და გუშინ. ხოლო ადამიანი კი, მხოლოდ არარაობაა, სიპი ქვა, ჩვარი. არც ერთი მხარე ადამიანის ცხოვრების არ არის მიმზიდველი. ყოველი მხარე ცხოვრების, მხოლოდ შემადგენელ ნაწილად ქცეულა იმ ჯალო — მანქანის, რომელიც სთქვეფავს პიროვნებებს, და იმუშავებს იმ რადაც სითხეს, სახელად რომ საზოგადოებრივი ცხოვრება დაურქმევიათო.

ერთი სიტყვით, შ. არაგვისპირელი უარყოფის მწერალია. მან მხოლოდ ნაკლნი შეიტანა თავის რეპერტუარში, რადგან ღირსება ვერაფერს ვერ აღმოუჩენია. ამით აიხსნება ის, რომ მის მიერ დახატული ცხოვრება მხოლოდ საწუნარია. იგი მხოლოდ გაცრუებულ იმედთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლევარია; იგი იკვლევს და აჩენს სიცალიერეს კაცის არსებობისას, კაცის, რომელიც უძლებად დასწაფებია შავ წყაროს, ცხოვრების გულიდან უხვად მჩქეფარეს, რომელიც მხამიო ავსებს ისედაც უფერულ და მიმზიდველობა დაკარგულ ცხოვრებას. შ. არაგვისპირელის ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანი, სხვათა შორის, ის არის, რომ მან არ მოგვცა არც ერთი ძლიერი პიროვნება, არც ერთი ამაყი სახე, რომელიც აქტიურად წინააღმდეგობდეს, რომელიც ძლიერ ინსტიქტებით ან და მტკიცე ნებით იყვეს დაჯილდოვებული. მთლიანი სურათი შ. არაგვისპირელის შემოქმედების, სუსტ და მორიგ პიროვნებათ შეიცავენ, რომელნიც იმ რიგს ეკუთვნიან, ცხოვრების ამყოლობას რომ ჭქადაგებენ.

შ. არაგვისპირელი სცდილობს დაგვიხატოს საშინელი დრამა ადამიანის არსებობისა, და ეს საშინელი დრამა მხოლოდ მაშინ გადიშლებოდა, როდესაც ძლიერი პიროვნება იქნებოდა მოტეხილი, იმედ-დაკარგული და ხალის წართმეული ჩვენ გვესმის მთელი სიძლიერე იმ დრამის, რომელიც იბსენმა „ბრანდში“ გადაგვიშალა. გვესმის მიტომ, რომ მომქმედი პირი,—ეს ფოლადის კაცია, უტეხი სულის და უხრელი ნების. გვესმის სიძლიერე, რომელიც გამოსჭვივის მის სიტყვებში: „ან სულ, ან არაფერიო“. გვესმის მისი ტიტანიური სულის ხმაური, მისი მეამბოხეობა და ამასთანავე მთელი სიმძაფრე იმ სიტყვების, რომელსაც უხილავი სულთა ხორო ჩამოსძახის; „ადამიანო მეოცნებე! იგი (ღმერთი) შენთვის არ შესცვლის კანონებს. შენ ადამიანად ხარ დაბადებული, და შენი ხვედრიც მხოლოდ მომაკვდავობა არისო“. (ბრანდი). და თოვლის ზვავი რომ ასამარებს ბრანდს, აქ იხსნება დრამის ნასკვიც, და ზედ მეტად ქანდაკდება ტრაგიზმი ადამიანის არსებობისა. ასეთივე არიან ფაუსტი, მანფრედი და კაინი. მხოლოდ მათ გვერდით შეგვიძლიან განვიცადოთ სიმძაფრე კაცთა ხვედრის. მხოლოდ მათი საშუალებით შეგვიძლიან ავხადოთ ის შავი ფარდა, რომლის იქითაც აუსარებელ კითხვითი ნიშნებს მოუღრიათ თავი.

მე არ ვადარებ არაგვისპირელს ამ მსოფლიო ტიტანებს მე მინდა ვსთქვა მხოლოდ ის რომ, როდესაც ჩვენი მწერალიც იმავ საკითხებს მიუბრუნდა, მეტი ძლიერი და მეტი დრამა-პირები უნდა შეექმნა მათ გასარკვევად. გაცილებით მეტი, ვიდრე ეს შ. არაგვისპირელის სნეული, ან და მორიგი პირები არიან. არც რაიმე ერთიანი სურათი მოუცია შ. არაგვისპირელს. მან მოგვცა ნატეხები, და მათი შეკოწიწება კი მკითხველს დააკისრა. მაგრამ მიუხედავად ამ ნაკლის (წვრილმანებზე არ შევჩერდები), შ. არაგვისპირელმა, როგორც შემოქმედების შინაარსით, ისე მის ცოცხლად და მხატვრულად გამოთქმით, თავისებური ადგილი მოიძებნა ჩვენს მწერლობაში, და ბელეტრისტიკაში ფილოსოფიურ მიმდინარეობას დაუდო სათავე. ნაწყვეტ სურათთა რიგით მაინც მოგვცა მთლიანი სახე კაცთა ცხოვრების, გვაგრძნობინა, რომ კაცობრიობა ეს ერთგვარი სააგადმყოფოა, სადაც ნელი ნაბიჯით დასეირნობს შავი კაცი, და კბილთა ღრჭენით დასცინის ადამიანის „ბედის-წერას“ — „ადამიანი — სისულელე,“ — აი თავი და ბოლო შ. არაგვისპირელის შემოქმედების, რომელსაც ვერ მოუძებნე სხვა სახელი, გარდა „შავი წიგნის“.

ვახტანგ კოტეტიშვილი

# წამების ზღვაზე

მინიატურები

## V ქუჩის შვილი

დილით ადრე მოევლინება ის ქუჩებს, ვით ნამი ყვავილის ფოთლებს. ფეხშიშველი, თმა-გაბურძგვნილი, მოუსვენრად დარბის მთელი დღის განმავლობაში. ყველგან შეხვდებით მას, მერცხალივით გაიქროლებს თქვენს წინ და სადღაც მიიმალება.

აგერ, ფანჯარის წინ გაჩერებულა და ყურს უგდებს როიალის დუდუნს. შემდეგ თვით იწყებს სევდიან სიმღერას:

„მამა მომიკვდა, დავრჩი ობლადა,
დედა სხვას წაჰყვა პურის მცხობლადა“

მაგრამ დიდხანს არა სცალია სიმღერისათვის აგერ ეტლმა გაიქროლა მის წინ და ქუჩის შვილმა გასეირნება მოიწადინა. აედევნა... ვით ღამურა კედელს, ისე აეკრა ეტლის საზურგეს. მიერეკება ცხენებს მეეტლე და თან მიაქროლებს თვის უცნაურ მგზავრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სასოფლო სკოლის მასწავლებელნი გორის საკონსერვო კურსებზე,**
რომელთაც ორი თვის კურსი დაასრულეს 7 მარტს და სოფლებში წავიდ-წამოვიდნენ ამ ცოდნის გასავრცელებლად

შედიხართ თეატრის დარბაზში და ისიც იქ გხვდებათ. ვინ იცის როგორ ან რა გზით შეიპარა შიგ, წამოსკუპულა ქანდარაზე და ტაშის ცემით გიხშობსთ სმენას. მან იცის ყოველი კუთხე, ყოველი უბანი. ყველასა სცნობს, იცის ვის უნდა სთხოვოს, ვინ უნდა გააჯავროს, ვისი უნდა ეკრძალებოდეს.

თავგანწირული ებრძვის სიცივეს, სიმშილს, მაგრამ ერთი წუთითაც არ ეძლევა სასოწარკვეთილებას, მე კი მუდამ მდუმარე, მწარე ფიქრებით გარემოცული დავდივარ ობლათ და როდესაც მეკითხებიან: რადა ხარ მოწყენილიო, პასუხის მიცემასაც ვერ ვახერხებ. ქუჩის შვილმა იცის სად რა უნდა სთქვას.

# მხატვარი ვანო

(გაგრძელება. იხ „თ. და ც." № 17)

2

ვანო, ჩაფიქრებული, მდინარეს შეუყვა. არ უნდოდა მის ღუღუნს მოსწყვეტოდა, მისი რიკრიკი დიდხანს სურდა ესმინა. ამ ფიქრით იგი ნაცნობ მინდორზე გავიდა. თვალი მოავლო: მის წინ ნაცნობი ძველი ორსართულიანი თავადის სახლი იდგა. მიაშტერდა — უზარმაზარ ეზოს — ხეებით მოფენილს. ბავშობისას აქ ბევრჯელ ყოფილა. ყველას იცნობდა... მოხუც თავადს, მის მეუღლეს, რომელიც თავადმა მეორე ცოლის გარდაცვალების შემდეგ შეირთო...

ერთ დროს ვანო აქ ყველას უყვარდა .. მაგრამ მას აქედ ხომ დიდი ხანი გავიდა, რაც ვანო, შვიდი-ექვსი წლის ობოლი ვანო ერთმა მდიდარმა ნათესავმა წაიყვანა და მას აქედ კი აქ აღარ ყოფილა... ვანო სახლს დაუკვირდა .. ეზოს თვალი მოავლო. უცებ ეზოს მეორე თავში დაინახა ის, ვინც მდინარესთან ყვავილებით ხელში იხილა... შეჩერდა... ჩაფიქრდა... ვინც იყო მიხვდა ..

ასული მორბოდა... ორ სართულიანი სახლის კიბეები მარდათ აირა... ოთახში შევარდა... ლოგინზე მიწოლას აპირებდა. მაგრამ ფანჯრიდან თვალი მოჰკრა იმას, ვისაც მდინარესთან შეხვდა.

და გაშტერდა... სევდით გაშტერდა...

ბოლოს გამოერკვა... როიალს მიუჯდა. წამი... და მომჯადოებელი ხმები გაისმა, რომელიც გაზაფხულის ნიავმა ოთახიდან გაიტაცა, ფრთებზე შეისვა და არე-მარეს გულში ჩააწნა...

ეს ჯადო ხმები ვანომაც გაიგონა. და რაღაც გამოუთქმელმა გულისთქმამ გაიტაცა...

თავის თავი წმიდა ტაძარში წარმოიდგინა... ქუდი მოიხადა და დიდხანს, დიდხანს ასე იყო, სანამ სამყარო სიბნელემ არ მოიცვა .. უკანასკნელად სივრცეში გაიქვითინა მუსიკის აკორდმა, გაიქვითინა მასთან ერთად ნიავმაც — სადღაც ხეებში ჩაიკვნესა ჭრიჭინამ და სიჩუმე ჩამოვარდა..

ვანო გამოერკვია მიიხედ-მოიხედა — ამოიოხრა და შინისკენ გზას გაუდგა ..

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მწირი-სარდალი

დრამა-პოემა ხუთ მოქმედებად

დუტუ მეგრელი

### მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:

**ერისთ ვი**, გამგე-მფლობ. ცალკე საერისთავოსი
**ნინო** } ამისი შვილები.
**შალვა** }
**მართა**, ქვრივი.
**გივი**, ამისი შვილი, ჯერ მწირი, შემდეგ სარდალი
**მედროშე**
**2 მწირი**
**მოხუცი**
**მოამბე**
**1, 2 და 3 დედაკაცი.**
**მეომარნი, მოხუცნი, ქალიშვილები, დედა-კაცები, ბავშვები და გლ ხები**

მოქმედება სწარმოებს ძველ საქართველოს ერთ ერთ საერისთავოში.

### მოქმედება პირველი

მთის ძირას მდებარე ტურფა წალკოტი. წინ ქვებით შემოზღუდული წყაროა. უკან, მარჯვნივ, ფერდობზე მოსჩანს მონასტერი. წყაროსთან ზის შალვა, შეიარაღებულია და ხელში მათრახი უჭირავს. მოისმის საომარ სიმღერის ხმა. საომრად მიმავალი ჯარი შემოდის სიმღერით; წინ მოუძღვის მედროშე დროშით. მონასტრიდან ჩამოდიან გივი და მეორე მწირი. ყურს უგდებენ სიმღერას. გივი ძალ-ღონით სავსე და ვაჟკაცურ შეხედულების ჭაბუკია, მეორე მწირი კი უფრო ხნიერი, თან სუსტი, გამხდარი და ფერმიხდილი.

**მეომარნი** (მღერიან) „სამშობლოს გასჭირვებია,
გვემუდარება შველასა,
მტრისაგან შეწუხებული,
საომრად გვიწვევს ყველასა
„სამშობლო განსაცდელშია, —
წავიდეთ, ძმებო, უშველოთ:
ან მტრის ხელიდან დავიხსნათ,
ან ჩვენი თავი უმსხვერპლოთ!
„ნეტავი ვაჟკაცს, ღირსეულს,
ნეტავი მამულიშვილსა,
ბედი რომ წილად არგუნებს
სამშობლოსათვის სიკვდილსა!
„მის სახელს სამარადისო
ამ ქვეყნად ხსოვნა ერგება
და სულიც სულთა წინაპართ
იქ პირნათელად შეხვდება!. “

(მოდიან წყაროსთან და ისვენებენ. მედროშე მოდის და შალვას მახლობლად დადგება. გივი და მეორე მწირი მოდიან და ათვალიერებენ შალვასა და მეომართ).

**შალვა** (ადგება და გივისა და მწირს)
მწირთ გამარჯვება!
**გივი** (მდაბლად თავის დაკვრით)
თქვენც გაგიმარჯოთ!
**შალვა** (გივის) თქვენი სახელი?
**გივი** გიორგი,
**შალვა** გვარი?
**გივი** გვარი არ ვიცი.
**შალვა**. როგორ!?
**გივი** მწირი ვარ.
**შალვა**. მერე რა უყოთ?!
**გივი**. რად მინდა გვარი?—
ის ამ ცხოვრების კუთვნილებაა
და მე კი მისთვის უკვე ვარ მკვდარი?..
**მედროშე** (გივის)
სადაური ხარ, რომელ სოფლიდან?
**გივი** ეგეც არ ვიცი.
**შალვა** (მედროშეს) საოცარია!
(გივის) არც არავინ გყავს დედ-მამა, და-ძმა?
**გივი** დედა მყავს მხოლოდ. დიდი ხანია,
ჯერ ისევ ბავშვი, ამ მონასტერში
მან მომიყვანა და ღმერთს შემწირა;
მას აქეთ აქ ვარ, აქ გავიზარდე
და ქვეყნიური არა ვიცი რა.
**შალვა** (მედროშეს) საოცარია! ..
(გივის) თვითონ რა იქნა?
თუ ცოცხალია, ახლა სად არის?
**გივი** აქვე მახლობელ სოფლის საყდართან
სცხოვრობს სენაკში.
**შალვა** შენთან არ დადის?
**გივი** კი, როგორ არა, აქ, ამ წყაროსთან,
ჩვენ ერთმანეთსა ხშირად ვნახულობთ:
მე მონასტრიდან მომაქვს წიგნები
და საღმრთო წერილს ერთად ვკით-
ხულობთ.
**შალვა** და ვერც კი აღწევს თქვენ ყურებამდის
ტანჯულ სამშობლოს კვნესა საზარი?..
(მეომრებს) ცოდვა არ არის რომ ამისთანა
ვაჟკაცი ბერად იყოს შემდგარი?..
**გივი** (მწუხარებით)
მაშ თქვენ საომრად მიეჩქარებით,
რომ დაიფაროთ მტრისგან მამული?..
ნეტავი თქვენა!..
**მედროშე**. რას შემოგვნატრი?
შენც წამოგვყევი, თუ გიწევს გული!
**გივი** ოჰ, რომ შემეძლოს, რა სიხარულით
წამოვიდოდი, ხმალს ავიღებდი
და გიჩვენებდით, რომ სამშობლოსთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლას და სიკვდილს მეც შევიძლებდი!,
**შალვა** ჩვენც ვხედავთ უნდა იყვე ვაჟკაცი!..
**2 მწირი** (აღტაცებით) დიაღ, ძალიან ღონიერია,
შეუპოვარიც, მოხერხებულიც,—
გამძვინვარებულ დათვს მოერია!..
**მედროშე.** მერე სად შეხვდა და როგორ იყო?..
**2 მწირი** შარშან მე და ეს ტყეში წავედით
ხმელი ფიჩხისთვის და იქ უეცრად
ბელების პატრონს დედა დათვს შევხვდით!
მე შემეშინდა და ერთ ადგილზე
გავშეშდი, თითქო გაქვავებული,
რომ ვნახე, იგი ზე ალიმართა
და წამოვიდა გაბრაზებული;
ამას კი წარბიც არ შეუხრია,
გააფთრებულ მხეცს გადუდგა წინა
და ისე მძლავრად დაჰკრა ნაჯახი,
რომ იქვე სული გააფთხობინა!..
**შალვა** } (აღტაცებით) ყოჩაღ, ბიჭო!..
**მედროშე** } ყოჩაღ, ვაჟკაცო!..
**გივი** (ტანჯვით)
კიდეც მას აქეთ, რაც ის მოვკალი,
დაკარგული მაქვს სულის მშვიდობა;
აღარ მასვენებს ხმა იდუმალი
და გამუდმებით მეჩურჩულება:
„შე უბედურო, რას უზიხარო
ამ მონასტერში, როცა განგებას
სულ სხვა საქმისთვის შეუქმნიხარო?
წადი, მოძებნე შენი სწორები;
გამოიჩინე მამაცობაო;
ლოცვა დიაცთ და მოხუცთ საქმეა,
ვაჟკაცისა კი ვაჟკაცობაო!..“
მაგრამ ვაი, რომ ვერ უსმენ ამ ხმას,
ბავშვობიდანვე მწირად გაზრდილი,
და უნაყოფოდ გულში ქრებიან
ჩემი ფიქრები, ნატვრა, სურვილი!..
(ცოტა ხანს დუმილია)
**ხმა** (მოისმის მონასტრიდან) გიორგი ..ი..ი!
**2 მწირი** (გივის) ჩვენ გვეძახიან!
**გივ** მშვიდობით, ძმებო, — ღმერთი გიძლოდეთ!.
ვაი, რომ ლოცვა მერგო მხოლოდ მე,
როცა თქვენ მტერთან უნდა იბრძოდეთ!..
**შალვა.** მართლა, ცოდვაა შენი მწირობა! .
წამო, წავიდეთ, ნუ გეშინიან:
ღმერთი მისთვის არ გაგირისხდება,
რომ მტერს ებრძოლო!..
**გივი** (ცრემლმორეული) არ შემიძლიან:
დედა ჩემს აღთქმა აქვს დადებული,
რომ ხმალს აროდეს არ ვახლებ ხელსა
და ღმერთს, მარადის მისი მსახური,
მხოლოდ უსისხლოს შევწირავ თავსა!..
(მიდის ჩქარი ნაბიჯით, 2 მწირიც მიჰყვება)

**შალვა** (თვალებს გააყოლებს გივის და მედროშეს)
ეს უბრალო მწირს არ ჰგავს; აქ რაღაც
საიდუმლო რამ დაფარულია:
ალბად, უბედურ მის დედის თავზე
დიდ განსაცდელსა გადაუვლია,
რომ თავისი და ერთად ერთ შვილის
ბედი ამ გვარად გამოუცვლია!
**მედროშე** დიაღ, თუმცა ის უბრალო მწირის
სამოსელშია გამოხვეული,
ცხადათ ეტყობა, ვაჟკაცადაა
და არა ბერად დაბადებული!...
**შალვა** (ცოტა ხნის შემდეგ)
ეჰ, დროა, ჩვენცა ჩვენს გზას გაუდგეთ!
(მედროშე მიდის ჯართან. მეომარნი დაეწყობიან და გაემზადებიან წასასვლელად. **შალვა** მონასტრისაკენ ხელებს აღაპყრობს. მეომარნი მუხლს მოიყრიან. შალვა ლოცულობს)
წმიდა გიორგი ცხედართ მფარველო,
დედამან ღვთისამ თვისი წილ-ხვედრი
შენ ჩაგაბარა ეს საქართველო
და ჩვენც ბრძოლის წინ შენ გვევედრებით,
რომ აგვაშორო ჩვენ დამარცხება
და არ მოგვაკლო, ძლევა-მოსილო,
მტარვალთა ძლევა და გამარჯვება!..
(მეომართ) აბა, სიმღერა, ჩვენი სიმღერა,
სულს რომ აფრთოვნებს,
გულს წამლად ხვდება!..
(მიდის. მეომარნი დაიწყებენ იმავ სიმღერას და მიდიან. შემოდიან **ნინო, მანანა** და **ქალიშვილები**; ხელში პატარა კალათები უჭირავთ ახლად დაკრეფილ ყვავილებით; დადგებიან და ყურს უგდებენ სიმღერას)
**ნინო** (როცა სიმღერის ხმა შეწყდება, ცალ ხელს გაიწვდენს და გრძნობით)
წადით, იბრძოლეთ, ჩვენ-კი აქ წამალს
მოუმზადებთ მას, ვინ დაიჭრება!..
რა ვქნათ, რომ ქალებს დაჭრილთა შველა
და პატრონობა მხოლოდ-ღა გვრჩება,
მაშინ, როდესაც მამულისათვის
მამულიშვილთა სისხლი იღვრება?..
(მანანას) მანანა, წადით, კიდევ დაკრიბეთ!.
დღეს ხელს გვიმართავს წმიდა გიორგი;
მე-კი ცოტა ხანს აქ დავისვენებ.
ჯერ ხომ ადრეა?..
**მანანა.** ძალიან კარგი.
(მანანა და ქალიშვილები მიდიან)

დუტუ მეგრელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაბა-სოფლის მოღვაწენი



**ვასილ იოსების ძე ჯაფარაშვილი**

ს. ზემო-ქალის მცხოვრები გლეხი. საკუთარი სახლი დ. ხაშურში დაუთმო დრამ. წრეს, თავისი ხარჯით გადააკეთა და საზოგადოებას საკუთარი სცენა გაუჩინა. იშვიათის გატაცებით უყვარს ქართული ხელოვნება და თუმცა წერა-კითხვა ოდნავად იცის, ყოველთვის იმის ცდაშია თეატრს რაიმე სარგებლობა მოუტანოს.

# ნიკოლოზ ლომოური

განსვენებული ნიკოლოზ ლომოური, სემინარიაში სწავლის დროს, დიაღ, ერთ სამაგალითო აზრიან მოწაფედ ითვლებოდა. მის დროს სემინარიის მოწაფეთა შორის გავრცელებული იყო კითხვა რუსეთის საუკეთესო მწერალთა ნაწერების და ნამეტურ დ. პისარევის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის და მთელის რუსეთის სხვა საუკეთესო ზაპადნიკების მწერლობის.

ნ. ლომოური თავის ნიჭით ცნობილი იყო სემინარიის გამგეობისთვისაც. თვით იმ დროის სემინარიის რექტორი და ინსპექტორიც ნ. ლომოურს მკაცრის თვალით უმზერდენ. ამიტომაც სდევნიდენ და თვალყურს ადევნებდენ, თუ იგი რა წიგნებს კითხულობდა.

ამიტომაც 1871 წ. მათ ცნობა მისცეს რევიზორ კერსკის, რომ ნ. ლომოური არ არის კეთილი შეგირდი, იგი მთავრობის წესების მგმობელია და მასთან ქართულ ჟურ. „მნათობშიაც“ მწერლობსო, რომელ ჟურნალიც მთავრობის წინააღმდეგიაო. რევიზორმა კერსკიმ სემინარიის გამგეთა ცნობები თავის რევიზიაში შეიტანა, მერე მის რევიზია ცალკე წიგნადაც გამოვიდა, სადაც სხვათა შორის, მოხსენებულია ნ. ლომოური და ქართველთ სიმპატიური მგლექსე იოსებ ბაქრაძე, რომელიც განუყრელი ამხანაგი იყო ნ. ლომოურის და იგიც „მნათობში“ სწერდა ლექსებს.

რევიზორი კერსკი სწერს საიდუმლოდ: სემინარიის გამგეობამ მაცნობა, რომ მოწაფე ნ. ლომოური და იოს. ბაქრაძე არიან მთავრობის წინააღმდეგნი, იგინი კითხულობენ წინააღმდეგ წიგნებს და მასთან სემინარიის მოწაფეებშიაც მოქმედებენ, კრებებს მართვენ, კითხულობენ სხვა და სხვა წიგნებს და მით შეგირდებსაც იზიდავენ მთავრობის წინააღმდეგ პარტიაში წევრებათო. მე ამ გარემოებას ყურადღება მივაქციე, ეს მოწაფენი დავიბარე და ცნობები გამოვკითხე მასზე, თუ იგინი ქართულად რასა სწერენ ჟურ. „მნათობში.“ მათ მიამბეს შემდეგი:

„მნათობში“ ჩვენ ვწერთ ლექსებს და ეს ლექსები მთავრობ ს წინააღმდეგ კი არ არის, არამედ ამით, ჩვენ, ქართველ ხალხს ვამხნევებთ, რომ მათ სწავლა-განათლება შეიყვარონო. ამას გარდა ჩვენ ღარიბები ვართ, და რედაქციაც ფულს გვაძლევს და მიტომაც ვწერთო“. ასეთი პასუხი რევიზორმა ირწმუნა და გამგეო'ის მხარე ამ მოწაფეთა სასჯელის გამო უყურადღებოთ დატოვა. გავიხსენებთ, იმასაც რომ ნ ლომოური 60-ცე მწერალთა ჯგუფს კი არ ეკუთვნის, არამედ 70-იან წლების ქართველ გონივრულ მწერალთა გუნდს, რომელი გუნდიც შემდეგ ზოგთაგან „ტეტიათა მოტრფიალედ' იქმნა წოდებული, ზოგთაგან „მესამე დასად.“ „მესამე დასის“ მიმდევრობას მისი მოთხრობა „ბედი უბედურთაც“ ასაბუთებს.

ზ. ჭიჭინაძე

# გამხდარი ვარ?

I

ჯერ კარგათაც არ იყო გათენებული, როდესაც ვანო კუნძიაშვილმა ფიცხლად ჩაიცვა ტანზე, შემოიკრა წელზე ჭრელს ხელსახოცში გამოხვეული გაფშიკებული პური, გრძნობიერად გადისახა პირჯვარი და

სოფლის სამართველოსაკენ გაეშურა, სადაც მამასახლისი იბარებდა და რადგან დაბარების მიზეზი არ იცოდა, კანცელარიაში მისვლამდე, შიშით კინაღამ გული შეასკდა.

— ტარშინა აღდეგრძელა ღმერთმა!.. გუ'ინ პოპოშნიკს ეთქვა ჩვენებისათვის, კანცელარიაში გიბარებენო და გიახელი.— მოახსენა მისალმების შემდეგ ვანომ და გახუნებულ-გახეხილ მაგიდას მოკრძალებით მიუახლოვდა.

— კუნძიაშვილო!.. შენ გითხოვია ადგილი რკინიგზაში. ტანციის ნაჩალიკი გიბარებს და დღესვე თუ არ გამოეცხადე, სხვას მიიღებენ, შვილო, და შენ-კი ხახა მშრალი დარჩები. აბა, გასწი.—გამოუცხადა ძალაზე წითურმა და გომბიოსავით თვალებ გადმოკარკლულმა მამასახლისმა და სიამოვნების გამოსახატავად იყო ეს, თუ სიზარმაცისა, ისეთის სიმძლავრით დაამთქნარა, რომ კუთხეში მწოლიარე მწერალსაც-კი გამოეღვიძა, და დაფეთებულ კამეჩსავით აქეთ-იქით იწყო უაზროდ ცქერა.

— მადლობ. შენი ჭირიმე... შენი პატივიცემა აი ამ კისერზე იყოს.—გადაუხადა კუნძიაშვილმა მადლობა მამასახლისს და დაბისაკენ მოჰკურცხლა.

მამასახლისის განცხადებამ, განუსაზღვრელი სიხარული გამოიწვია ვანოს გულში და იმდენად დიდი და გამოუთქმელი იყო მისი ბედნიერება, რომ მას სრულებით დაავიწყდა განვლილი ტანჯვანი და მომავლის იმედით გატაცებული, დაუსვენებლივ გარბოდა უფროსისაკენ. გარბოდა არა ჩვეულებრივის სისწრაფით, რომ კარზე მომდგარი ბედნიერება ხელიდან არ გაჰფრენოდა და ისრე იყო ამ ბედნიერებით დამთვრალი, რომ ყველაფერს და ყველას, რაც კი გზაში ჰხვდებოდა—მადლობას უძღვნიდა.

არც გასაკვირი იყო ვანოს ასეთი მდგომარეობა, რადგან არა ერთი და ორი თვე მოელოდა სამსახურს, ყველას და ყველგან თავს აბეზრებდა, თხოულობდა სამსახურს, სამუშაოს და ამ წვალებაში, არა ერთი და ორი წითელი თუმნიანი დაეხარჯა ქრთამების სახით. გაათავა თუ არა ვანომ სამხედრო სამსახური, მაშინვე ცოლი შერთეს, ძმებიც გაეყარნენ და მთელი ოჯახის მოწყობა და რჩენა ცხოვრებაში გამოუცდელს ვანოს დააწვა კისერზე. ოჯახი გაიზარდა. ოჯახური მოთხოვნილებანი და ხარჯებიც გაუორკეცდა და შემოსავალი კი არსაიდან ჰქონდა. გაჭირვებისაგან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ვანო ხან აქეთ ეხეთქა და ხან იქით. თუ სადმე ნაცნობი, მეგობარი, ანუ ნათესავები ჰყვანდა— ყველას მიჰმართა დახმარებისათვის, ყველას აწუხებდა და თუმცა ყველა თანაგრძნობით ეგებებოდა, მარა სამსახურში ჩადგომას ვეღარ ეღირსა ის.

უკანასკნელ მდგომარეობაში იყო, უკანასკნელს სულიერს ტანჯვას განიცდიდა ვანო და ის-ის იყო მოთმინების ძაფიც გაწყვეტაზე იყო მიმდგარი, როდესაც ზემოთ მოხსენებულმა სასიამოვნო ამბავმა მოუსწრო უფსკრულის პირას მდგომს და მომავალის ბედნიერებით გატაცებულს, სრულიად გადაავიწყებინა განვლილი უბედურებანი.

შევიდა თუ არა უფროსი თავის კაბინეთში, ვანოც თან შეჰყვა და მოახსენა ვინც იყო.

გვარისა, სახელისა და წლოვანების გამოკითხვის შემდეგ, რაღაც ქაღალდი მისცეს ხელში და იმ სადგურის ექიმთან გაამგზავრეს შესამოწმებლად.

**ნიკო სიხარულიძე**

# ქართული სცენის ქურუმნი

**ტრაგიკოსი ვლ. ალ.—მესხიშვილი**

(დასასრული. იხ. თ. და ც." № 15)

გ. მესხიშვილის საუკეთესო როლად უნდა ჩაითვალოს ჰამლეტიც, თუმცა ამ როლში მისი ნიჭი იმ უმაღლეს აპოგეამდინ არ ადის, როგორც ურიელ აკოსტაში; მსახიობი ალაგ-ალაგ მოისუსტებს და მთლად ვერა სძლევს დიდებულ უკვდავ შექსპირის გმირის, ჰამლეტის სულისკვეთების გამოხატვას. განსაკუთრებით სუსტია მესხიშვილი მესამე მოქმედებაში, წარმოდგენა „გონზაგოს სიკვდილის“ შემდეგ, იქ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ჰამლეტი ნიღაბს ხდის მეფე კლავდიუსის ხედნილ ვერაგობას და რწმუნდება, რომ მისი მამის მკვლელი და გვირგვინის მტაცებელი უთუოდ მისივე ბიძა. აქ ჰამლეტის გიჟურ აღტაცებას საზღვარი აღარა აქვს! ჩვენ უნდა ვხედავდეთ ადამიანს, რომელსაც თავისი სულის საიდუმლო, გულის წუხილი, დარდი და ვარამი ფარულად უტარებია. და აი დამდგარა დრო, როდესაც მთის ძირში დაგუბებული მღვრიე წვიმის წყალი ადიდებულა და ცის რისხვასავით მთლად ლეკავს არე-მარეს. აქ მესხიშვილს აკლია ტემპერამენტი, რომელიც უნდა უცებ აფეთქდეს და თავზარი დასცეს მაყურებელს. სწორედ აქ ვერ იჩენს საკმაო სიძლიერეს მსახიობი და ამიტომაც ამ სცენას მიაფუჩუჩებს ხოლმე, რითაც ჰამლეტის სულიერი განცდა მთლად იკარგება. სამაგიეროთ ამავე მოქმედებაში მსახიობის დიდი ნიჭი კულმინაციონალურ წერტილამდე ახწევს. ეს არის სცენა „ყოფნა არ ყოფნისა". საგანგებოდ კითხულობს დიად მონოლოგს „ყოფნა არ ყოფნას". ბევრჯერ მინახავს მესხიშვილი ჰამლეტის როლში და არც როდის მას ისე არ წაუკითხია ეს მონოლოგი, როგორც ამ სამის წლით წინად. ნათლად მახსოვს კიდეც, თუ რა შთაბეჭდილება დასტოვა. დიდებულ მსახიობის შემოქმედება, ადამიანის მეხსიერებაში აღმოუფხვრელია! აი ის დაუვიწყარი სცენა-სურათი. სცენის სიღრმეში გამოჩნდება მესხიშვილი ჰამლეტი გულხელ დაკრეფილი და თვალებ მილულული, გაწამებულ სახით, თითქოს არ კი მოდის, ნელ-ნელა მოსცურავსო, მოუახლოვდება ავანსცენას .. უცებ, თითქოს რაღაცამ შეაჟრჟოლაო, აქედ იქით მიიხედ-მოიხედავს და შემდეგ გულის სიღრმიდან ამოხდება „ყოფნა არ ყოფნა". აქ მესხიშვილი შესდგება თითქო ვიღაცისაგან ელის პასუხსაო და, რომ ნახავს სიცარიელეს მოუცავს გარემო, ისევ განაგრძობს:

„საკითხავი აი ეს არის
სულ-დიდ ქმნილებას რა შეჰფერის?
ის, რომ იტანჯოს
და აიტანოს მწარე ბედის ნეშტრითა გმირვა,
თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას
და ამ შებრძოლვით მოსპოს იგ?
მოსპოს სიცოცხლე...
ბოლო მოუღოს.. მიიძინოს.. სხვა არაფერი. ."

და ისევ თვალები მიელულება. მხოლოდ როდესაც მივა ამ მშვენიერ სტრიქონებთან:

„იქ რა იქნება, ოჰ, იმ ბნელსა და
უცნობ მხარეს,
სადით არც ერთი მგზავრი უკან
აღარ ბრუნდება. ."

თავისი მომღერალი დიქციით და ხმის ღუღუნით, ადამიანს ტკბილ ჰანგათ შეესმინება და ამასთან ერთად შეაჟრჟოლებს, შეაძრწუნებს ამ მართლაც და ჩვენგნით გაუგებარი უცნობ ქვეყნის გახსენებაზე. ოხ, ეს ის წამია, რომელსაც ადამიანი ვერ გამოსთქვამს, ვერ იტყვის, თუ რა განიცადა, რა იგრძნო დიდებულ მსახიობის განცდასთან ერთად.

ჩვენ მარტო ვნანობთ და ბოდიშს ვიხდით, რომ იმისთანა საქმე ვიკისრეთ, რომლის შესრულება ვერ შევძელით!

საუცხოვოა იგი დედასთან: შემოსვლის უმალვე, როგორც შეეფერება არისტოკრატს და პატიოსან ადამიანს, ისე დაუწყებს ლაპარაკს ჰამლეტი—მესხიშვილი თავის მშობელს. საერთოდ ამ სცენაში ყვირილით კი არ გამოსთქვამს თავის მწუხარებას, როგორც უმრავლესი მსახიობნი, არამედ მეტად წყნარად, მომხიბლავი ექსპრესიით გადმოგვცემს თავის სულისკვეთებას და კიდეც ამაშია მსახიობის სიდიადე, რომ მაყურებელს ატყვევებს თავისი სადა ბუნებრივი თამაშით და მთელი სიცოცხლე შეაქვს. შესანიშნავია მსახიობი სასაფლაოზედაც. აქ მესხიშვილის ჰამლეტი სკეპტიკი აღარ არის, ხოლო თავისი რეფლექსია კი ვერ მოუშორებია თავიდან და ამ სანახაობის სამუდამო სადგომის დანახვაზე უფრო უძლიერდება მსოფლიოს არარაობის საკითხი, მისი სიფუჭე. ჩვენს წინ გულის მომწყვეტელი პესიმისტი სდგას. საუცხოვოა იგი, როდესაც სინჯავს იორიკის ქალას და რა ხმით, როგორი ინტონაციით, გამოუთქმელი სევდით ეკითხება ჰორაციოს: „ნუ თუ ალექსანდრე მაკედონელიც ამისთანა იქნება საფლავშიო?!" ყოველივე ამას შეუდარებელი პაფოსით გადმოგვცემს შეუდარებელი მსახიობი.

დიდი გატაცებით თამაშობს ფრანც მოორს, რომელმაც იმსხვერპლა მსახიობის ხმა. გასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირველად ასახიერებს იბსენის პსიხოლოგიურ ტიპს ავადმყოფ ოსვალდს. ჩვენ მოწმენი ვართ იმ ემოციურ სცენისა, სადაც ოსვალდი—მესხიშვილი გარეტიანებული, ჩერჩეტსავით მისჩერებია სივრცეს და ბღავილით გაიძახის: „დედავ, მზე! მზე მინდა, მომე მზე!“ ამ დროს ბევრი მაყურებელი ამ საშინელ სურათს ვერ უძლებს, და იძულებულია, დარბაზი დასტოვოს, რათა თვალი მოაშოროს საზარელ ადამიანის ტრაგედიას!

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ მესხიშვილის ნიჭისა და ხელოვნების ზოგი პატივისმცემელნი მას თვით დიდებულ ჭენიოს ტომაზო სალვინს უტოლებენ, მაგრამ სალვინის რომ თავი დავანებოთ, მესხიშვილი მაინც ერთი დიადი, მაღალი ნიჭის მსახიობთაგანია და იქნება მაღლაც იდგეს რუსეთის იმისთანა გამოჩენილ მსახიობებზე, როგორიც მამონტ დალსკია, როსსოვი, იურიევი და სხვა... მესხიშვილი ჩვენი სცენისათვის იგივეა, რაც ილია ჭავჭავაძე—ქართულ ლიტერატურისათვის!

ვ. გარრიკი

# ჩვენი დაუდევრობა

ამას წინად შემთხვევით კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე ვიყავი. ვისარგებლე ამით და წავედი ჩვენის მოღვაწეთა სასაფლაოებისაკენ. მივედი, ვნახე და გული დამწყდა. სხვა სასაფლაოებთან შედარებით, სწორედ სატირელ მდგომარეობაშია ეს საფლავები. ასიკო ცაგარლის საფლავზე ხის ჯვარზე რკინის ფიცარი აკრავს და ისე ჩაჟანგებულა, რომ სადაა სულ წაიშლება. იმის გვერდით ხის ჯვარზე მიკრულ რკინის ფიცარზე სწერია: „აქა...ძე...ზახაშვილი“ ეს უნდა იყოს გოგლო ყაზახაშვილის საფლავი. სადა წერტილები დავსვი, ამ ადგილას უნდა წარწერა იყოს, მაგრამ ასოები სულ წაშლილია და არა სჩანს რა. იქვეა, მგონი, შიო ჩიტაძის საფლავი, რომელსაც ასე აწერია: „შიო...ტაძე მოკლული....“ სხვა ვერაფერი გაირჩევა. მის გვერდით მისი ცოლი უნდა იყოს, ერთი მოაჯირი აქვთ ორივეს, მხოლოდ რკინის ფიცარი გადაწმენდილა, თითქოს არც არაფერი ყოფილა ზედ წარწერა. ამათ უკან ვიდაცის საფლავია, არც ჯვარი აქვს და ეს მგონი ლადო აღნიაშვილის საფლავი უნდა იყოს. საერთო საფლავთა შორის ვიდაცის ჯვარი გდია მიწაზე უპატრონოდ, ზედ რკინის ფიცარი აკრავს, მხოლოდ წარწერა წაშლილია და არა ეტყობა-რა. მთელს სასაფლაოზე ბალახი ამოსულა და სულ უპატრონოდ, მოუვლელად არის. ცოტა რიგიანად გამოიყურებიან ნატალია გაბუნიას ძეგლი, კოტე მესხისა და მარიამ დემურიასი, რადგან ეს უფრო ახალი საფლავებია და ბუნებას ჯერ თავისი ნიშანი არ დაუსვამს.

ამ ნაირ მდგომარეობაში ვნახე ის საფლავები, რომელსაც ყოველი ქართველი პატივს უნდა სცემდეს, როგორც ქართველი ხალხის გულშემატკივართა და საქართველოს ბედნიერების მოტრფიალე მოღვაწეთა ნაშთთ. წარსულით ვამაყობთ და საფლავებიც ხომ წარსულ დროისა და ხალხის მომგონებელია? მაშასადამე, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ მათ სამუდამოდ შენარჩუნებას და არა წაშლა-აღგვას. სიკვდილის დროს ყოველ ჩვენს მოღვაწეს დიდის პატივისცემით რომ ვასაფლავებთ, თუ მათ თავის ხალხის წინაშე რაიმე ღვაწლი მიუძღვის, შემდეგ არ უნდა ვივიწყებდეთ, თუ საზოგადოებას არა აქვს თავი მათი მოვლისა და შენახვისა, განა გაცილებით არა სჯობს, რომ დღეის ამას იქით მიცვალებული თავის პატრონს და ნათესავებს მიანდონ სამუდამო მოსავლელად! თორემ რას ჰგავს ძვირფასს საფლავთა მიმართ ასე უყურადღებობა? იმედია, ვისიც მოვალეობაა, ყურადღებას მიაქცევს და ყოველ ზომებს იხმარებს მათ დასაცველად.

მ. იანქო

# ნიკოც დავკრძალეთ!.

კვირა დილა გორში მზიანი გათენდა, მაგრამ ნიკოს გამოსვენება მოახლოვდა თუ არა, დაიწყო წვიმა, ცივი ქარი, მოჰყვა თოვლი... მაინც დიდძალი ხალხი მოდის, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობა... სახლში, სადაც მრავალ გვირგვინ-ყვავილებით შემკული კუბო ასვენია ნიკოსი, სიჩუმეა..- ჭირისუფალნი გამტკნარებულან... აქ სჩანან თბილისის, ქუთაისის და სხვა დაბა-ქალაქთა საკულტურო დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულებათა წარმომადგენელნი, დამსახურებულნი მწერალნი, საზოგადო მოღვაწენი და სხ.,. მეათე საათზე კუბო გამოასვენეს, წინ მიუძღვიან ჰამქრები დროშებით, მგალობელნი, გვირგვინთ მზიდველნი, სამღვდელოება ანტონ ეპისკოპოსითურ და სხ. ორ მწკრივად ჩამდგარი მოწაფე ქალნი ძვირფას მიცვალებულის ცხედარს გზას ვარდ-ყვავილ-იასამანებით უფენენ... კუბოს მიასვენებენ საზოგადო მოღვაწენი... თოვლ-ჭყაპი ემატება. ტაძართან დიდძალი ხალხია. ცხედარი შეასვენეს. თოვლ-ჭყაპი მძაფრობს, ხალხი სკოლის აივანზე, ტაძრის სვეტებსა და სხ. ეფარება. ყველას ჰსურს კიდევ ერთხელ დაჰკრას თვალი საუკეთესო მასწავლებელს.

ხალხში არიგებენ ნ. ლომოურის სურათს ზედწარწერით: „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეებს“. (ასეთივე წარწერა ჰქონდა გორის ვაჭრებისგან მორთმეულ გვირგვინს).

ტაძარში გრძნობიერ-შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს ანტონ ეპისკოსმა და მღ. ნ. ნათაძემ კუბო იმავე წესით გამოასვენეს.. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს—ქალაქის მართველობის წინ გორის მოურავმა ზ. ქიტიაშვილმა, „ახალი ქართლის“ რედაქ. წინ—მასწავ. ნებურიშვილმა და „ახ. ქართ“. რედ დ. კარიჭაშვილმა, ქალთა გიმნაზიის წინ—მოსწავლე ქალებმა, სამარესთან—დრამატურგმა ნიკ. შიუკაშვილმა (აქვე ვბეჭდავთ), პ. მირიანაშვილმა (ქართ გიმ.), დ. ონიაშვილმა, მასწ. სუდაკოვმა (რუსულად), იოსებ იმედაშვილმა („თეატრი და ცხოვრება“), რ. ბებიაშვილმა („სახ. ფურ“. და ქართ. დრ. საზ.), ლ. ბოცვაძემ („წ. კ. ს.“) დეკ. ლ. ტურიაშვილმა (სიღნაღის საზ. და წ. კ. ს.), ნიკო სიხარულიძემ (ხაშურის საზ.), სოფლის მასწავლებელმა (რუსულად) და სხ. ყველანი სხვადასხვა მხრით ახასიათებდენ ნიკოს, როგორც საუკეთესო ადამიანს, გლეხთა ჭირისუფალს, ქართველი ერის სინიდისს, ჭეშმარიტს მასწავლებელს, დიდს მოქალაქეს, სამშობლო ენის ოსტატს და სხ.

კუბო სამარეში ჩაასვენეს 2 ს. და 35 წ. წვიმა შესწყდა, გამოიდარა. . თითქო ბუნებამაც დაიტირა თავისი დიდი მხატვარი... —ლი

# ქართული სახიობა

**სახალხო სახლში** სახ წარმოდ მმართ. წრემ კ. შათირიშვილის რეჟისორბით 23 აპრ. წარმოადგინა ტრ. რამიშვილის ახალი პიესა „სალომეს ოჯახი“, ჩვენის დღევანდელ აფორიაქებულ ცხოვრების ერთი სურათთაგანი. ავტორი გაკვრით გვიხასიათებს პარტიული ფანატიზმით შეპყრობილ ინტელიგენტს, მის მოპირდაპირე პიროვნებას, ახალ დროის ქალს და სხვ. რწმენის „სტიპენდიაზე“ გაცვლა, საზთგადო საქმის პირადულზე გადატანა—აი, რას ეხება მუდამ ფხიზელი ჩვენი დარამატურგი. პიესას ტეხნიკური ნაკლი აქვს, შიგა და შიგ გაჭიანურებულ-მშრალია, ბოლოც ისე თავდება, თითქო რაღაც უთქმელი რჩებაო, მაინც ეს პიესა კარგი ნიშანია: ჩვენმა დრამატურგიამ ხელი უნდა მოჰკიდოს უკანასკნელ ათეულ წლების ინტელიგენციის დახასიათებას. პიესა საუცხოვოდ იყო დადგმული, განსაკუთრებით ალ. იმედაშვილის (გიორგი), ან. ქიქოძის (თამარ) და შ. გომელაურის (ლეო) შესრულებით. კარგები იყვნენ ბარათაშვილიც (სალომე), ვ. ნინიძე (ტატე) და ალ. მეტრეველი (ოქრო).

**ამავე დასმა** 27 აპრ. წარმოადგინა „მაღაროს უფროსი მუშა“ და „ტარტიუფი“.

**უსავანო**

**ქართ. მსახ. ამხანაგობამ** 28 აპრ. სახ. სახლში წარმოადგინა „ვიდრე ხვალ“, დიდძალი საზოგადოება დაესწრო

**ნინო ჩხეიძე საგასტროლოდ დ. ხაშურს** ეწვია 24 აპრ. 25 აპრ. მისი მონაწილეობით დაიდგა „უბედური ნაბიჯი“ კარეევისა, 26 აპრ.—„მედეა“—სუვორინისა და ბურენინისა ქ. ჩხეიძემ ჩვეულებისამებრ—დიდის ნიჭით და საუცხოვო ტემპერამენტით განასახიერა: ვარვარა პეჩორინისა „უბედურ ნაბიჯში“ და მედეა—„მედეაში“, და თავისი მადლიანი თამაშით დიდათ მოჰხიბლა, მოაჯადოვა დამსწრე საზოგადოება. ქ ჩხეიძესთან ერთად გვესტუმრა ქ. ანეტა ქიქოძეც, რომელმაც დიდის დაკვირვებით და არტისტიულის ნიჭით შეასრულა—„უბედურ ნაბიჯში“ ბარონესას როლი და „მედეაში“ კრეუზასი. პიესებს რეჟისორობდა ბ. ქორელი. მანვე „უბედურ ნაბიჯში“—როტმისტრის როლი შეასრულა საუცხოვოდ. დანარჩენ როლებს ადგილობრივი დრამ. წრის სცენის მოყვარენი ასრულებდენ და მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ანსამბლს ჩინებულად უწყობდნენ ხელს. ასეთი მადლიანად დადგმული პიესები, როგორც ამას დამსწრე საზოგადოება ამბობდა, ჯერ აქაურ სცენაზე არ გვინახავს.

26 აპრილს „მედეას“ გათავების შემდეგ, ხაშურის ქართ. დრამ. წრის გამგეობამ და სცენის მოყვარეებმა ძვირფას სტუმრებს გამოსათხოვარი ბანკეტი გამუართეს.

ნიკო [illegible]ული

**ბაქოში ნინო ჩხეიძისა და ვ. სარაჯიშვილის საგასტროლოდ** კვირას 19 [illegible] ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბაქოს დრამ. სექციამ დადგა 4 მოქ. დრამა

[stamp] თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მამულ-დედული“. დიდის აღფრთოვანებითა და ოვაციით შეხვდა ბაქოს ქართველი საზოგადოება საყ:არელ მსახიობ-ქალს სცენეზე გამოსვლისთანავე. ასრულებდა მაგდას როლს. მეტად მიგვაჩნია ამ, ქართველი სცენის, მოკიაფე ვარსკვლავის დაფასება მაგდას როლში — მომჯადოვებელი იყო იგი როგორც ყოველთვის თავიანთი ჩინებულის თამაშით მხარს უშვენებდენ მას ქ. ელო ანდრონიკაშვილი მარი), შ. დადიანი (შვარც) და შ. ხონელი პასტორი). ნამეტარი შეუფერებელი გამოდგა ბ. მ. მატარაძისთვის ფონ-კელლერის როლი. ბ. ჭუმბურიძე მაქს ვერ გრძნობდა თავს თავის ქერქში. არა უშავდათ პატარა როლებში ქ. ქ. წულუკიძისას (ფრანცისკა), ნაკაშიძისას (ავგუსტი), ჭრელაშვილი (ტერეზა) წარმოდგენის დასრულებისას მოხიბლულმა საზოგადოებამ საყვარელ სტუმარს ოვაციები გაუმართა—მიართვეს ყვავილები.

იმგვარივე აღტაცებით შეხვდა საზოგადოება მეორე ძვირფას სტუმარს ვ. სარაჯიშვილს. მან რამდენიმე ნომერი შეასრულა სხვა და სხვა ენებზე—თითქმის ათიოდე. ეტყობოდა მომღერალს—ძლიერ მოიქანცა. ბოლოს და ბოლოს ჩვეულებრივის ექსტაზით ველარა მღეროდა... დამსწრეთა შორის მხიარულ ტაშს საზღვარი არა ჰქონდა სიმღერების დროს, სრულიად უადგილოთ და უდროვოდ, სცენაზე გამოიჭრა ბ. გოგია და წაიკითხა საკუთარი ლექსები ..

წარმოდგინა-კონცერტმა დიდძალი საზოგადოება მიიზიდა, დასრულდა ღამის $12^1/_2$ საათზე სამწუხაროა და მასთან უცნაური ის გარემოება, რომ ეს საგასტროლო წარმოდგენა-კონცერტები თითქოს განგებ საკრებულო დარბაზში მოაწყვეს, რითაც საშუალება მოუსპეს მდაბიო ხალხს დასწრებოდა წარმოდგენას და დამტკბარიყო ძვირფასი სტუმრების ნახვით... ამ დარბაზში ხომ არ უშვებენ ისეთს, ვინც „სურთუკ-ფრაკში და გალსტუკ-ვოროტნიკში“, გამოწკიპული არ არის?..

განა ცოტა მოიპოვება სათეატრო შენობები ბაქოში?.

**გულისაგა**

# წვრილი ამბები

**ახალი პიესა**—„ბიძია თომას ქოხი“ გადმოსთარგმნა ნინო ყიფიანისამ. პიესას ამ მოკლე ხანში წარმოადგენენ

**ქართ. მსახიობთა ამხანაგობა** სამშაბათს, 5 მაისს სახ. სახლში წარმოადგენს „ჰამლეტს“.

**ახალგაზდა ცნობილი მწერლები** დღეს სახალხო სახლში იმორისტულ დილას ჰმართავენ.

**თვიურ ჟურნალის „ახალი მოამბე“**-ს გამოცემის უფლება უკვე მიიღო ნინო ბეჟ, ყიფიანისამ. ჟურნალის გამოც მაში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ექ. ივ. სპ. ელიაშვილი. მოწვეულ იქნებიან საუკეთესო მწერალნი. გამოცემას შეუდგებიან შემოდგომიდან.

**ქართულ კულტურის მოყვ. საზ.** დიდი მუყაითობა გამოიჩინა და თითქმის კვირაში ერთხელ ჰმართავს შინაარსიან სხდომს. გასულ ორშაბათს მისი თაოსნობით თავ.-აზნ. საკრებულო დარბაზში იპ. ვართაგავამ წაიკითხა მოხსენება ,,აკაკი, როგორც სატირიკოსი‘‘ მოხსენება შინაარსიანი გამოდგა, რისთვისაც მრავლად დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა და ტაშით დააჯილდოვა. აღსანიშნავია, რომ კულტ. მოყვ. საზ გამგეობამ წესად შემოიღო ყოველი სხდომა სწორედ გამოცხადებულ დროზე დაიწყოს.

**აშუღების კონცერტი** დღეს იმართება ,,არტ. თეატრ. დარბაზში‘‘.

**სართიჭალის წვრილი კრედიტის საზოგადოების** კრებას, როგორც ისმის, ოცი თუმანი გადაუდვია ადგილობრივ ბიბლიოთეკის დასაარსებლად.

**ველის ციხეში აკაკის** სახელობის წიგნთსაცავის გახსნას აპირებენ. ამ მიზნით უკვე 200 მან. შეგროვილა წარმოდგენების შემოსავლით. საქმეს მეთაურობს სოსო მაჭავარიანი. მ. ველისციხელმა შესწირა მთელი თავისი ბიბლიოთეკა (სამასამდე ქართული წიგნი, არის რუსულიც), თავისი საწიგნობლით. შემწირველი სოსო მაჭავარიანს ავალებს, ეს წიგნები მოითხოვოს და ჩაიბაროს.

## შემოწირულება

**ტასო ხმალაძისამ** შემოიტანა: აჭარლების სასარგებლოდ 1 მ., აკაკის სახელობის სკოლის ასაგებად სხვიტორში - 1 მ. და ქართულ თეატრის ასაგებ ფონდისთვის—1 მ., სულ 3 მ.

**აჭარლების სასარგებლოდ** დ. კოპალისაგან—ხონში ილიკო შენგელიას ქორწილში შეგროვილი 4 მ. და 25 კ. (ყოველივე დანიშნულებისამებრ გარდაეცა).

## მწიგნობრობა

**„Русская Иллюстрація“ № 6**, კვირეული რუსული სამხატვრო ჟურნალი. კანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ქართველი ქალის სურათი. ჟურნალში მოთავსებულია სურათები აკაკის, ქართველთა, გუთნეული (ხვნაში), ქართლის გლეხთა, ქართ. ეკლესია, არაგვის ხეობა, დღეობა, კალოობა, „მოსკოვის ქართველთა საზ. გამგეობა“ და სხვა. წერილები: დრამატურგის თავ. ა ი. სუმბათშვილისა „აკაკის სამარეზე“, მ ვეშაპელისა —„აკაკი წერეთელი“, კომპოზიტორ არაყიშვილისა— „საქართველოს ისტორიიდან“, ს. ვ. ამირაჯიბის მიერ ნათარგმნი ლექსები ნ. ბარათაშვილის „რად ჰყვედრი, ტურფავ“, ვ ორბელიანის ,,გალია‘‘ და ი. ჭავჭავაძის ,,ელეგია‘‘. ამ ნომერში სხვა მასალაც არის, ნომერი საუცხოვოდ არის შედგენილ-შემკული. როგორც სჩანს, რუსეთში მცხოვრებ ქართველთ განუზრახავთ ჩვენი ქვეყანა რუსეთის საზოგადოებას გააცნონ. ფრიად სასიამოვნო მიზანია და უსურვებთ ამ ნაბიჯისთვის შემდეგიც მიეყოლებინოთ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! „თეატრი და ცხოვრების მე-16 №-ში იყო მოთავსებული ბ. ზ. ჭიჭინაძის წერილი, რომლითაც იგი მე 28 თუმანს მედავებოდა მე და ზ. ჭიჭინაძე უკვე მოვრიგდით და მაისის დამლევს უნდა ჩავაბარო 40 მან.

**იასონ კერესელიძე**

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА на 1915 годъ, на журналъ

# ТЕАТРЪ И ИСКУССТВО

**52 №№** еженедѣльнаго иллюстриров. журнала (свыше 1000 иллюстр.

**12** ежемѣсячныхъ книгъ „Библіотеки Театра и Искусства“ въ которыхъ будутъ помѣщены беллетристика, научно-популярныя, критическія статьи и т. д., около

**40** новыхъ репертуарныхъ пьесъ,

**„ЭСТРАДА“** сборникъ стихот. разсказ. монолог.. и. т. п. съ особой нумер. стран.

Въ 1915 г. „Библіотекѣ“ будутъ помѣщены, между прочимъ, слѣдующія пьесы: **„Осеннія скрипки“**, И. Сургучева, **„Начало карьеры“** В. Рышкова, **„Уходящіе боги“**, П. П. Гнѣдича, **„Пѣвецъ своей печали“** — О. Дымова, **„Пигмаліонъ“** — Б. Шоу, **„Домъ“** В. Тардова, **„Дѣти грѣха“** В. Евдокимова **„Невѣсты“** С. Юшкевича, **„Лейтенантъ Фон-Пляшке“** А куприна и др.

**Подписная цѣна на годъ 8 р.** допускается разсрочка: 3 р. при подпискѣ, 3 р. 1 апрѣля, и 2 р.—1 іюня Заграницу **12 р. на полгода 4 р. 50 к.** (съ 1 января по 30-ое іюня). Заграницу 7 р.

Иногородніе, желающіе ознакомиться съ журналомъ, получаютъ за семикопѣечную марку текущій № безплатно.

**Главная контора ПЕТРОГРАДЪ**, Вознесенскій пр. № 4. Тел. 16 69

**ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1915 Г.**

**на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ**

**VII г. изд.** **„РАМПА и ЖИЗНЬ“** **VII г. изд.**

Подъ редакціей Г. Мунштейна (Lolo)

Театръ.—Музыка.—Литература.—Живопись —Скульптура.

**Подпис. цѣна:** годъ 6 р. 50 к., $^1/_2$ г. 3 р. 50 к., 3 мѣс. 1 р. За гран. вдвое 75 к., 1 мѣс. 60 к. Допускается разсрочка. ▣ Объявлен. впереди т е к с т а, 75 к. строка петита, позади текста 50 коп.

**Безплатная премія для годовыхъ подписчиковъ:**

## Галлерея сценическихъ дѣятелей

роскошно-иллюстрированное изданіе

**1900—1915 гг. Томъ 1-ый (въ двухъ частяхъ)**

СОДЕРЖАНІЕ 1-го ТОМА:

**Монографіи, характеристики и біографіи сценическихъ дѣятелей драмы, оперы и балета Статьи, очерки, воспоминанія, стихи: Александра Амфитеатрова. Юрія Бѣляева, Н. Н. Вильде, Евг. Гунста, В. М. Дорошевича, Александра Койранскаго, С. Кара-Мурза, Як. Львова, Lolo И. Пеняева, кн. А. И. Сумбатова, Ю. Соболева, Н. Е. Эфроса, М. Юрьева, Сергѣя Яблоновскаго. Снимки въ жизни и роляхъ, зарисовки, Шаржи и проч. Репродукціи рѣдкихъ портретовъ и фотографій изъ музеевъ А. А. Бахрушина и В. В. Протопопова. Коллекціи Н. А. Попова.**

**52** большихъ портрета (на обложкѣ) артистовъ, писателей, композиторовъ и художниковъ, болѣе 2000 снимковъ, зарисовокъ, шаржей, карикатуръ и пр. Собственные корреспонденты во всѣхъ западноевропейскихъ театр. центрахъ **52**

**ОТКРЫТА ПОДПИСКА на весенній и лѣтній сезоны съ 1-го марта по 1-го сентября — 3 р. 50 коп., съ преміей — 5 руб.**

АДРЕСЪ: Москва, Богословскій пер. (уг. Б. Дмитровки), д. I. Тел 2-58-25 Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней, отъ 11—4 часовъ дня. **Подписка принимается:** также въ Москвѣ у **Н. И. Печковской** (Петровскія линіи), **въ книжн. маг.: „Новое время“** (въ Петрог. Москвѣ и пров. гор.), въ муз. маг. **В. Бессль и К°** (Москва, Петровка, 12), **М. О. Вольфъ (Москва—Петроградъ) Л. Идзиковскій** (Кіевъ) **во всѣхъ книжн. магаз. г. Москвы и. провинціи. Можно подписываться по тел. 2-58-25.**

| | | |
|---|---|---|
| **წელიწადი მესამე** | **მიიღება ხელმოწერა 1915 წ.**<br>ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერა-ტურო, სახელოვნო და საზოგადოებ-რივ ჟურნალ | **წლიურად 5 მ.**<br>**ნახევარი წლით 3 მან.** |

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით**

**„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშეა**

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად“**-ში, **„ცოდნას“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—**ალ. ძაძამიასთან, ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნთ სავაჭროში **ს. ეპიტაშვილთან**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 ვვ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**




## ნომრები „ავრორა“

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, **სუფთა, ელექტრონის სინათლით** ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზვარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)

# РУССКАЯ ИЛЛЮСТРАЦІЯ

**Еженедѣльный иллюстрированный журналъ**

Изданіе **Т-ва И. Н. Кушнеревъ и К°, Москва**

**Подписная цѣна:** на годъ 6 руб. на полгода 3 р. 50 коп. на 3 мѣсяца 1 р. 80 к, на 1 мѣс. 65 к. **Подписной годъ считается съ 1 февраля**

**Подписка принимается:** въ МОСКВѢ: Пименовская, 16 и Николаевская 8; въ ПЕТРОГРАДѢ: Фонтанка, 117; въ КІЕВѢ: Караваевская, 5.

**Редакція и контора: Москва,** Пименовская, 16, телеф. **3-71-63.**

Типографія „Сорапань“ სტამბა „სორაპანი“